წერილის ნომერი: **18-01201572864**
თარიღი: **05/06/2020**
პინი: **4003**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური'') განიხილა თქვენი 2020 წლის 22 მაისის #60-0120143508 წერილი (AR1746641) და თანდართული დოკუმენტაცია (გამწვანების პროექტი; ტოპო.გეგმა), რომლითაც მოქალაქე ავთანდილ ლომსაძე ითხოვს **ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა #42 (ს.კ. 01.19.22.002.024)(ფუნქციური ზონა: ს-1),** შპს ,,ქართული მილის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში, III კლასის საწყობის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას და გაცნობებთ, რომ:

სამსახურმა განიხილა თანდართული დოკუმენტაცია (ტოპო. გეგმა, მასზე დატანილი საპროექტო შენობით და მწვანე ნარგავებით) და ვინაიდან, მწვანე ნარგავები არ ყვება შენობის განთავსების არეალში, **სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით, ტერიტორიაზე არსებული საღი მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-კენკროვანის) სრულად შენარჩუნების ვალდებულებით.**

ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისი №255 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა", „გ", „დ", „ე" და „ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ე" ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა. ასევე, სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით (გარდა, კვიპაროსის, ელდარისა და შავი ფიჭვისა).

ასევე, ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები, ასევე, გასაშენებელი (დასარგავი) დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)).

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა აარჩიოთ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

L.A.N.D.

Landscape Architecture & Nature Development

2018 / 06 / 21

დენდროლოგიური პროექტი

ქალაქი თბილისი, ქიზიყის ქუჩა #12

ნაკვეთის ს/კ: 01.19.22.002.024

ფართობი: 6116 კვ.მ.

სიტუაციური გეგმა



ტოპოგრაფიული ანაზომი



არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა













N

459.43 459.48 458.98 458.88 459.17 458.91 459.00 459.19 460.56 459.40 459.62 459.89 460.03 459.99 459.04 459.07 460.58 459.64 460.64 460.05 460.57 459.45 459.32 459.84 459.88 459.66 459.38 459.86 459.72 459.28 459.18 459.03 459.59 458.92 458.94 459.03 458.98 458.79 458.58 458.81 458.77 459.06 458.80 458.38 458.89 458.17 457.90 457.85 457.44 457.32 457.10 456.92 457.29 457.04 457.20 456.34 456.76 456.77 456.65 455.78 456.16 455.67 455.33 456.11 456.07 455.97 455.03 455.09 455.10 454.98 455.61 456.52 456.19 456.83 456.28 456.61 456.77 456.30 456.49 457.00 457.29 456.94 456.27 456.24 456.11 456.27 456.22 456.21 456.27 455.93 455.84 455.70 455.07 456.29 456.27 456.22 456.03 456.27 456.21 455

სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია









მცენარეთა ექსპლიკაცია

მცენარეთა დახასიათება



ლათინური სახელწოდება:
Betula Pendula
ქართული სახელწოდება:
არყის ხე
სიმაღლე:
350/400 სმ.
↺ ღეროს გამსხვილება:
14/16 სმ.
წლოვანება:
5-10 წელი
რაოდენობა:
2 ცალი



ლათინური სახელწოდება:
Liquidambar Styraciflua
ქართული სახელწოდება:
ამბრის ხე
სიმაღლე:
350/400 სმ.
↺ ღეროს გამსხვილება :
16/18 სმ.
წლოვანება:
5-10 წელი
რაოდენობა:
4 ცალი



ლათინური სახელწოდება:
Cupressus sempervirens pyramidalis
ქართული სახელწოდება:
კვიპაროსი
სიმაღლე:
400/450 სმ.
↺ ღეროს გამსხვილება:
18/20 სმ.
წლოვანება:
5-10 წელი
რაოდენობა:
17 ცალი



ლათინური სახელწოდება:
Sophora Japonica Pendula
ქართული სახელწოდება:
იაპონური სოფორა
სიმაღლე:
350/400 სმ.
↺ ღეროს გამსხვილება:
18/20 სმ.
წლოვანება:
5-10 წელი
რაოდენობა:
1 ცალი

მცენარეთა ექსპლიკაცია

მცენარეთა დახასიათება



ლათინური სახელწოდება:
Lavandula Angustifolia
ქართული სახელწოდება:
ლავანდა
მახასიათებელი:
მარადმწვანე, სურნელოვანი
რაოდენობა:
14 ცალი



ლათინური სახელწოდება:
Cornus Alba Sibirica
ქართული სახელწოდება:
დეკორატიული შინდი
მახასიათებელი:
ფოთოლმცვენი
რაოდენობა:
28 ცალი



ლათინური სახელწოდება:
Juniperus Procumbens Nana
ქართული სახელწოდება:
ღვია
მახასიათებელი:
მარადმწვანე
რაოდენობა:
6 ცალი



ლათინური სახელწოდება:
Chamaecyparis Obtusa Nana
ქართული სახელწოდება:
ხამეციპარისი
მახასიათებელი:
მარადმწვანე
რაოდენობა:
10 ცალი



ლათინური სახელწოდება:
Liriope Muscari
ქართული სახელწოდება:
ლირიოპე
მახასიათებელი:
მარადმწვანე
რაოდენობა:
50 ცალი



ლათინური სახელწოდება:
Rosa Summer Song
ქართული სახელწოდება:
ვარდი
მახასიათებელი:
ფოთოლმცვენი
რაოდენობა:
5 ცალი



ლათინური სახელწოდება:
Hydrangea Paniculata Limelight
ქართული სახელწოდება:
ჰორტენზია
მახასიათებელი:
ფოთოლმცვენი
რაოდენობა:
5 ცალი



ლათინური სახელწოდება:
hosta sum and substance
ქართული სახელწოდება:
ჰოსტა
მახასიათებელი:
ბაღახოვანი
რაოდენობა:
6 ცალი



ლათინური სახელწოდება:
Hydrangea Maman Blue
ქართული სახელწოდება:
ჰორტენზია
მახასიათებელი:
ფოთოლმცვენი
რაოდენობა:
5 ცალი

სამუშაოების ჩამონათვალი	1 - თვე						2 - თვე						3 - თვე						4 - თვე						5 - თვე						6 - თვე						7 - თვე						8 - თვე						9 - თვე					
	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით გასუფთავება არსებული მრუნდის მოხსნა, გატანა																																																				
ნიადაგის ნაზავის შეტანა და პლანირება																																																			
ორმოების ამოღება																																																			
ხე-მცენარეების დარგვა ხის სამაგრების დამონტაჟება																																																			
ბუჩქების ჩარგვა																																																			
გაზონის დათესვა მუცრირება																																																			
აქტიური მოვლა პატრონობის ხანგრძლივობა																																																			

L.A.N.D.
landscape architecture & nature development

მისამართი:
ქალაქი თბილისი, ქიზიყის ქუჩა #12

ნაკვეთის ს/კ: 01.19.22.002.024

შპს "ქართული მიწა"

დენდროლოგიური პროექტი

მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

პროექტის ნომერი	0078
თარიღი	2018-06-23
დამკვეთი	შპს ქართული მიწა
ლანდშაფტის არქიტექტორი	მ. გამყრელიძე

LA002

მასშტაბი

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

საკვლევი ობიექტის ადგილმდებარეობა: თბილისი, ქიზიყის ქუჩა #12
საკადასტრო კოდი: 01.19.22.002.024
კვლევის მიზანი: ხემცენარეთა აღრიცხვა, სახეობის იდენტიფიკაცია, ბიომეტრული მონაცემებისა და დღევანდელი მდგომარეობის შეფასება.
თარიღი: 22.06.2018

მცენარის #	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D სმ	H მ	დღევანდელი მდგომარეობა
1.	ბაღი Cerasus avium	ხე	16.0	4.0	ჯანსაღი
2.	კვიდო Ligustrum licidum	ხე	62.5	5.0	ჯანსაღი
3.	კვიდო Ligustrum licidum	ხე	37.0	5.0	ჯანსაღი
4.	ვერხვი Populus X canadensis	ხე	83.0	8.0	ზეხმელი
5.	თუთა Morus alba	ხე	72.0	8.0	ჯანსაღი
6.	თუთა Morus alba	ხე	32.0-43.0	6.0	ჯანსაღი
7.	თუთა Morus alba	ხე	64.0	10.0	ჯანსაღი
8.	თუთა Morus alba	ხე	70.5	10.0	ჯანსაღი

აღნიშნულ მცენარეთა გარღა ობიექტზე ფიქსირდება 1 ეგზ.ღეღვი- ჯანსაღი, 2-ხემყრალა (1-ჯანსაღი, 1 ზეხმელი) და 1-ტყემალი ჯანსაღი. აღნიშნული მცენარეები გაზრდილია ბეტონის კედლებში, სადაც შესვლა და ბიომეტრული მონაცემების აღება შეუძლებელი იყო.

შპს ლენდ L.A.N.D. 404953127 LTD LAND

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

1. ბაღი
Cerasus avium





2. ჯვიღო
Ligustrum licidum





მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

3. კვიდო
Ligustrum licidum





3. ვერხვი
Populus X canadensis





მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

5. თუთა
Morus alba





6. თუთა
Morus alba





მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

7-8. თუთა
Morus alba





აღნიშნულ მცენარეთა გარდა ობიექტზე ფიქსირდება 1 ეგზ.ღეღვი- ჯანსაღი, 2-ხემყრალა (1-ჯანსაღი, 1 ზეხმელი) და 1-ტყემალი ჯანსაღი. აღნიშნული მცენარეები გაზრდილია ბეტონის კედლებში, სადაც შესვლა და ბიომეტრული მონაცემების აღება შეუძლებელი იყო.





მწვანე ნარგავების გაშენების აგროტექნიკა

• ნიადაგის მომზადება
ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან,ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას.
ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გაღახვნა, გაღაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების
განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.
ნიადაგის კვლევის შედეგები:
ნიადაგის ტიპი - მდელოს ყავისფერი ნიადაგი
ნიადაგის მექანიკური შემადგენლობა - მძიმე თიხნარი ნიადაგი
კარბონატობა CaCO3 - 6 -15%
ნიადაგის არის რექაცია pH – 7,5 -7,8
მოძრაობის ფორმები - საკვები ელემენტები:
1. ჰიდროლიზური აზოტი A -3,2 მგ- 100 გრ ნიადაგში;
2. ხსნადი ფოსფორი P2O5 -3,5 მგ- 100 გრ ნიადაგში;
3. გაცვლითი კალიუმი K2O -22-27 მგ -100 გრ ნიადაგში.
არსებულ ნიადაგზე შესაძლებელია ხე–მცენარეების დარგვა–გადარგვა.
• ხე–მცენარის დარგვა:
1. დასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,4 – 0,6 მ., ხოლო სიღრმე 0,3–0,5 მ.;
2. ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან ავიცილოთ რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
3. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
4. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 – 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 – 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
5. კომი უნდა განთავისუფლდეს შესაფუთი მასალისაგან;
6. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
7. ხის-ბუჩქის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
8. ხის-ბუჩქის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ სამი მხრიდან;
9. სარგავ ორმოში ცარიელი სივრცე ივსება ნიადაგის ნაზავით და ფრთხილად იტკეპნება, რათა არ დაიშალოს კომი და არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება;
10. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
11. ხის-ბუჩქის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;
• ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:
2. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა –გაფხვიერება–განახლება;
4. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
5. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
6.დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში,საჭიროების მიხედვით;
7.შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
8. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ – დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;

9. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა–ფორმირების სამუშაოები. მორწყვის ტექნიკა
მორწყვის ტექნიკისათვის დამახასიათებელია თავისებურებები. მექანიანი მცენარეების ფესვთა სისტემა განთავსებულია ნიადაგის ფენაში - 60 -70 სმ სისქეში.
აუცილებელია მივაღწიოთ, რომ ტენიანობის შემცველობა ფესვთა სისტემის განლაგების ფენაში შეადგენდეს კრიტიკული ტენტევადობის 70-80%-ს.
მორწყვის ფართობი უნდა იყოს არანაკლები ფართობი ვარჯის პროექტისა სიღრმე კი- არა ნაკლებ 60-70 სმ.
წყლის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ოპტიმალური ტენიანობის შენარჩუნებისათვის, ხის გარშემოჯამების 1მ2 -ზე,იწოდება „მორწყვის ნორმად“, რომელიც დამოკიდებულია ნიადაგში ტენის მარაგის დეფიციტისა და ნიადაგის სახეზე. რწყვის ნორმის გამოანგარიება ხდება შემდეგი ფორმულით: A=Б (В –Г) D სადაც:
A - სარწყავი ნორმა მ3 წყალი 1მ2 ფართობზე;
Б - რწყვის წყალტევადობის ზღვარი %- ში ზღვრული სარწყავი ტენტევადობიდან;
Г - ნიადაგის ტენიანობა % -ში ზღვრული სარწყავი ტენტევადობიდან;
D - ნიადაგის ფენის სიღრმე მ - ში. აღნიშნული ფორმულით სარწყავი ფორმა 1 -
ხისათვის, რომლის სიმაღლეა 5მ, ჯამის სიდიდე 2X2. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში: В -22% (0,22); В -80% (0,8); Г – 40%(0,4); D – 0,7 მ. სარწყავი ნორმა 1მ2 -ჯამზე შეადგენს: A=0.22(0.8-0.4)x 0.7=0,0616მ3ან 60ლ. ერთი ხის მორწყვის ნორმა,იმის შესაბამისად, რომ ფესვების სისტემით დაკავებული ფართობი 6,25მ2- ია (2,5x2.5მ), შეადგენს 375 ლიტრს ანსაკუთრებით ინტენსიური რწყვაა საჭირო მცენარეებზე ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. ამიტომ ინტენსიური მორწყვა უნდა დაიწყოს მაისის თვიდან.
• მოლის მოწყობა და მოვლა
ბაღახისგან მოწყობილ მოლს გარდა დეკორატიული დანიშნულებისა სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულებაც აქვს,იგი წმენდს, აგრილებს და ზომიერს ხდის ჰაერს, ხოლო ქუჩებში - ხელს უწყობს მექანიანი მცენარეების ნორმალურს ზრდა-განვითარებას. დაბუჩქული ბაღახი, რომელსაც ღრმად აქვს მიწაში აღდგმული ფესვები, ნიადაგიდან იწოვს და ფოთლების საშუალებით დიდი რაოდენობით აორთქლებას წყალს, რაც აგრილებს და ასუფთავებს ჰაერს.
მოლის კლასიფიკაცია მოლის დანიშნულებისა და ხანგრძლივობის მიხედვით (ერთწლიანი,მრავალწლიანი) ყოფენ ორი ძირითად ჯგუფად: დეკორატიულ და სპორტულ მოლებად. დეკორატიულ მოლს კი, თავის მხრივ, ყოფენ: ა) პარტერის(ყვავილნარებთან ან ცალკე), ბ) ჩვეულებრივ, ბაღებში, ქუჩებსა და სკვერებში არსებულსდა გ)მდელოს ტიპის მოლს - პარკებსა და ტყეპარკებში არსებულს. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ხდება მდელოს ტიპის მოლის მოწყობა. მოლის მცენარეთა ასორტიმენტი აღგილობრივი ბაღახები ეგზოტიკურთან შეღარებით უფრო გამძლე, ღამაზია და ხანგრძლივად ცოცღობს, ფოთოლი ნაზი აქვს და ხშირი იზრდება, კარგად ბუჩქება და 1მ2- ზე მეტ ყლორტებს ივითარებს. კრეჭის ან თიბვის შემდეგ კარგადბარტყობს, სწრაფად ივითარებს კვირტს და ახალგაზრდა, ნაზი, ნორჩი, მწვანე საფარით, მოკლედ ხანში ქმნის მოლს. კარგად იტანს ფეხით გათელვას, გვალვა და ყინვაგამძლეა.
ნიადაგის მომზადება მოლისთვის
ნიადაგის სრულფასოვნად დამშავებაზეა დამოკიდებული მოლის ხარისხი და გამძლეობა. ნიადაგის დამუშავება უნდა მოხდეს შემოდგომაზე ან ზამთარში 15-20 სმ სიმაღლეზე. გაზაფხულამდე ნახნავი იყინება, იფიტება, ბელტები იშლება, ტენიანდება, სარეველების ძირები და ფესვები - ნაწილობრივ იღუპება.
გაზაფხულზე უნდა მოხდეს ნიადაგის ხელმეორეს გაღახვნა, გაღაფარცხვა, სარეველებისგან გაწმენდა, ნიადაგის შემაღგენლობის, და მისი დანიშნულების შესაბამისად საჭირო რაოდენობისა და სახის სასუქის შეტანა, რის შემდეგაღაც უნდა მოხდეს ნიადაგის გაღაფარცხვა. ნიადაგის ზედაპირი უნდა მოსწორდეს და მიეცეს პროექტით გათვალისწინებული ქანობის ფორმა, დიდი სიზუსტით უნდა მოხდეს ნიადაგის მოსწორება. თესვის ვაღა და წესი თესვის ნარევის მომზადებისა და ნიადაგის დამუშავების შემდეგ, იწყება თესვა. თესვის დაწყებამდე ნიადაგის ზედაპირს ხელის ფოცხით საბოლოოდ ასწორებენ, აცილებენ შერჩენილ სარეველებს. თესვისათვის ყველაზე კარგი დროა გახაფხული (მარტი, აპრილი) ან გვიანი შემოდგომა. ყვავილნარებისა და პარტერებში, ასევე, ყველა იმ აღგილებში, სადაც შესაძლებელია მორწყვა, თესვა შეიძლება მაისსა და ივნისშიც. თარგების მოყვანილობისა და ზომის მიხედვით ხდება თესვა ხელით მობნევით ან სათესი მანქანით, წყნარ უქარო ამინდში. თესლი თანაბრად რომ დაგანაწილდეს ფართობზე, დასათესი თესლი იყოფა 2 ნაწილად და თესვა ხდება ორი მიმართულებით, გარდიგარდმო (სწორი კუთხით). თუ ითესება სხვადასხვა ზომის თესლი (რაც თესვისას იწვევს არათანაბარ გადანაწილებას), საჭიროა მისი ასევე ორ ნაწილად (სიმსხოს მიხედვით) თესვა გარდიგარდმო. გზის ნაპირები, მოლის ვიწრო ზოლები, პარტერებსა და ყვავილნარების მცირე ნაკვეთები - ითესება შედარებით სქლად, ვიდრე სხვა ფართობები. თესვის დამთავრების შემდეგ 0,5 – 2 სმ სიმაღლეზე თესლს უნდა გადაეყაროს მიწა და ფრთხილად დაიტკეპნოს.

მშრალ ამინდში, თესლის ამოსვლამდე, საჭიროა მოლის ზედაპირის დანამვა (დაწვიმებით მორწყვა - მცირე ჭავლით, რომ თესლი არ ამოცვივდეს ზედაპირზე). ძლიერ ტენიანი ნიადაგების დატკეპნა არ არის საჭირო, რადგან იწვევს მიწის ზედაპირის გადაღესვას და უარყოფითად მოქმედებს თესლის გაღივებასა და ადმოცენებაზე, მის ზრდა-განვითარებაზე.

მოლის მოვლა

სათანადო და რეგულარული მოვლის შემთხვევაში, მოლმა შეიძლება ათეული წლების განმავლობაში იარსებოს და არ დაკარგოს რომორც დეკორაციული, ასევე ხარისხობრივი მნიშვნელობა, ასევ, არ იქნება საჭირო მისი ხელმეორედ მოწყობა და აპიტალური რეკომენდაცია. მოლის სწორი და კარგი მოვლა განაპირობებს ბალახების ნორმალურ ზრდა-განვითარებას. მოლი უნდა იწმინდებოდეს რომორც სარეველებისგან, ასევე ქვებისა და სხვა ნარჩენებისგან, საჭიროებს სისტემატურ კრეჭას, თიბვას, რწყვას და სხვა. თიბვა - თანაბარი, ღამაზი და მწვანე ბალახოვანი საფარის მისაღებად საჭიროა მოლზე, ბალახის დროული და სისტემატიური თიბვა, რის შედეგადაც მცენარეები უკეთ ბარტყობენ და იქმნება შეკრული და მკვრივი კორდი. თიბვის შემდეგ მცენარე ივითარებს უამრავ ახალ მწვანე ყლორტებს, ხოლო ერთწლიანი სარეველა ბალახი კი - ისპობა. მოლის გათიბვა უნდა ხდებოდეს მაშინ, როცა ბალახის ნორჩი ყლორტების სიმაღლე 10-12 სმ-ს მიაღწევს, რადგან უფრო მაღალი ბალახი უხეში ხდება, ყლორტების ქვედა ნაწილი შიშვლდება და ღეროები იწყებენ ყვავილობას. გარდა ამისა,მაღალი ბალახის გათიბვა უფრო რთულია.გათიბვა უნდა წარმოებდეს 12-115 დღეში ერთხელ. მიუდგომელ ადგილებში ბალახი იკრიჭება ბორდიურის მაკრატლით 2-3 სმ სიმაღლეზე. მოლის ნაპირები, განსაკუთრებით პარტერებსა და ყვავილნარების ირგვლივ, უნდა გაიკრიჭოს და შესწორდეს საპროექტო ნახაზის შესაბამისად, რადგან მოლი ხშირად გადაგის ნაპირებზე, დება გზებს, მოედნებს და ქმნის უსწორმასწორო ნაზახებს. გათიბული ბალახი აღებული უნდა იქნას მაშინვე, ვინაიდან დარჩენილი ბალახი იწვევს მოლის გაყვითლებას და ამოხუთვას.

მოლის მორწყვა

წყლის სიმცირე უარყოფითად მოქმედებს მცენარის განვითარებაზე, ყლორტების წარმოამნის უნარზე, მის ხარისხზე, ფოთლის ელასტიურობასა და შეფერილობაზე. რწყვა წარმოებს ისე, რომ ნიადაგის ზედა ფენა გაიშლინთოს 5- 12 სმ სიღრმემდე. მცირე რწყვა,მხოლოდ ზედაპირის 1 – 3 სმ სიღრმემდე საზიანოც კია, ჭარბი რწყვით კი, მცენარე ღრმად უშვებს ფესვებს ნიადაგში. განსაკუთრებით რეგულარული რწყვას მოითხოვს მოლი დათესვის შემდეგ,გაღივების პერიოდში და ადმოცენების ამოსვლის პირველ ხანებში. მცირე ზომის მოლზე და განსაკუთრებით პარტერებში, რწყვა ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს, ერთხელ ან ორჯერ. დილით აღრე და საღამოს. დიდი მოლის მორწყვა შეიძლება დღისითაც, თუ იგი ჭარბადაა მორწყული.მორწყვის საჭიროება და რაოდენობა დამოკიდებულია ადგილის კლიმატურ და ნიადაგურ პირობებზე, ასევე ბალახის სახეობაზე. წყლის საშუალო მოთხოვნილება გვალვიან რაიონებში მთელი სეზონის განმავლობაში - 1მ2 მოლის მოსარწყავად წაჭიროა საშუალოდ 0,8 -1მ3 წყალი. მოლის მორწყვა უმჯობესია დაწვიმებით.

მოლის ზედაპირის კვება

ხშირი თიბვით მოლის ნიადაგი იფიტება, ხდება გაეწერება თანდათან. ნათიბი ბალახის მოლი კარგავს საკმაო რაოდენობის საკვებ ნივთიერებებს. ნიადაგის გაღარიბება დამოკიდებულია დროსა და თიბვის რაოდენობაზე და მკვეთრად იცვლება. მოლის ნორმალურ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად საჭიროა ნიადაგში სასუქის შეტანა (ინ ნივთიერებების, რომლების ნაკლებობაც განიცდის ნიადაგი, ნიადაგური კვლევის დასკვნის საფუძველზე). მაგ: შეიძლება შევიტანოთ ნაკელი (გადამწვარი) ან კომპოსტი - გვიან შემოდგომიდან აღრე გაზაფხულამდე (1ჰა 200-500 მ3), იმ ვარაუდით, რომ ზოლის ზედაპირზე 2-3 სმ სისქით მოეყაროს (თანაბრად უნდა განაწილდეს მთელ ფართობზე). შესაძლებელია მოლის მორწყვა წუნწუხით (წყალშიგახსნილი ნაკელი), თვეში ერთხელ (1მ2-ზე 10-20 ლიტრი).

კორდის მოვლა და განახლება

ხშირად მოლის ზედაპირზე ჩნდება ხავსი, ამიტომ საჭიროა კორდის ზედაპირის გაფხვიერება და ხავსის მოშორება. კორდის ზედა ფენის გაფხვიერება ხელს უწყობს ჰაერის გამტარიანობას ნიადაგის ქვედა ფენაში, აუმჯობესებს მის ფიზიკურ თვისებებს. გაფხვიერება აღრე გაზაფხულზე ხდება (ხელის ფოცხის ან სპეციალური იარაღების გამოყენებით). აჩეჩილი ხავსი და ხმელი ბალახის ღეროები გამოტანილი უნდა იქნას ფართობიდან ფოცხით. ასეთი მოვლის ღონისძიებების შემდეგ, შედარებით უფრო გაძლიერდება ბარტყობა და დაჩქარდება მკვრივი კორდის შექმნა. მოვლა უნდა ჩატარდეს ყოველწლიურად ან 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც, რადგან ზოგიერთი ბალახი იღუპება და მოლზე ჩჩება ცარიელი - მოტიტვლებული ადგილები. თუ მოლის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია (საჭიროა მიზეზის შესწავლა). უნდა მოხდეს მოლის აღდგენა - რეკონსტრუქცია. ნიადაგი უნდა გადაიბარონ. თუ მოლზე ცოტა ნარგავებია, უნდა მოიხსნას ნიადაგის ფენა 15-20 სმ სიღრმეზე და ამოიკრიფოს მრავალწლიანი სარეველების ფესვები და ფესურები. ნიადაგში, დაფარცხვის შემდეგ, შეტანილი უნდა იქნეს საჭირო რაოდენობის სასუქი და შემდეგ დაითესოს მოლის ბალახის ნარევი.

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს "ქართული მიღი" საიდენთიფიკაციო კოდი: 406136097 მის: ქ.თბილისი, ქიზიყის ქუჩა #12

საპროექტო ტერიტორია: (ს/კ: 01.19.22.002.024) მის: ქ.თბილისი, ქიზიყის ქუჩა #12

ნებართვის გამცემი ორგანო: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

კ-3: 0.1 (367 კვ.მ.)

გასაშენებელი ხე-მცენარეების სახეობა: 2 ცალი არყის ხე (სიმაღლე: 350/400 სმ. წლოვანება: 5-10 წელი), 17 ცალი კვიპაროსი (სიმაღლე: 400/450 სმ. წლოვანება: 5-10 წელი), 4 ცალი ამბრის ხე (სიმაღლე: 350/400 სმ. წლოვანება: 5-10 წელი), 1 ცალი იაპონური სოფორა (სიმაღლე: 350/400 სმ. წლოვანება: 5-10 წელი), არსებული ხე-მცენარეები: ბაღი (D 14სმ. H 4მ.), კვიდო (D 62.5სმ. H 5მ.), კვიდო (D 37სმ. H 5მ.), ვერხვი (D 83სმ. H 8მ.), თუთა (D 72სმ. H 8მ.), თუთა (D 32-43სმ. H 6მ.), თუთა (D 64სმ. H 10მ.), თუთა (D 70.5სმ. H 10მ.) ღელვი, ხემყრალა 2 ცალი, ტყემალი.

გასაშენებელი ხე-მცენარეებზე მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი კომპანია "ქართული მიღი" (ს/კ 406136097)

გასაშენებელი ხე-მცენარეებზე მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობა: 3 წელი

დენდროლოგიური პროექტის დაწყების თარიღი: 15.10.2020
დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: 25.05.2021





გამწვანების მნიშვნელობა ქალაქის განაშენიანებაში

ქალაქის განაშენიანებაში მცენარეების როლი საკმაოდ დიდია. მცენარეები ზემოქმედებას ახდენს ჰაერის შემადგენლობაზე, სისუფთავესა და იონიზაციის პროცესზე, ხელს უწყობს ქალაქის გარემოს გაჯანსაღებას, აუმჯობესებს მიკროკლიმატს, ასუსტებს ძლიერი ქარების უარყოფით ზემოქმედებას, წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას ქალაქში არსებული ხმაურის წინააღმდეგ, მონაწილეობს ქალაქის საინჟინრო კეთილმოწყობასა და მელიორაციულ საკითხებში, წარმოადგენენ ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას.

მოვლა - პატრონობა

გამწვანების პროექტის გათვალისწინებული ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია გახლავთ შპს. "ქართული მილი"

